



აღდგო — 1. ნელი, დინჯი ტემპი. 2. სიმფონიის, კონცერტის, სონატის, კვარტეტის, აგრეთვე კლასიკური ცეკვის ნელი ნაწილის (რომელიც ჩვეულებრივ ლირიკული ხასიათისაა) სახელწოდება.

ალეგრო — 1. ჩქარი, ხალისიანი ტემპი. ამ ტემპში დაწერილი ცოცხალი, ზშირად მზიარული ხასიათის პიესა ან რომელიმე ნაწილი (ჩვეულებრივ პირველი) ისეთი ნაწარმოებებისა, როგორცაა სიმფონია, კონცერტი, სონატა. 2. ბალეტში — სწრაფი ნაწილი ან აქტის მასობრივი დასკვნითი ცეკვა.

ანდანტე — 1. მშვიდი ნაბიჯის შესატყვისი ტემპი. 2. ზომიერად ნელ ტემპში შესასრულებელი დამოუკიდებელი პიესა ან შესაბამისი ნაწილი მსხვილ ნაწარმოებში.

აპასიონატა — 1. აღზნებით, ენებით, დიდი გრძნობით. 2. ზოგჯერ — მუსიკალური ნაწარმოების სახელწოდება, მაგალითად, ბეთხოვენის ერთერთ საფორტეპიანო სონატას ეწოდება „აპასიონატა“.

არიო — 1. დასრულებული ნომერი ოპერაში, კანტატაში ან ორატორიაში, რომელსაც ასრულებს მომღერალი-სოლისტი ორკესტრის თანხლებით. 2. საოპერო არიის ხასიათის დამოუკიდებელი საოპერატო პიესა მომღერალი-სოლისტისათვის. 3. მელოდურობით, მღერალობით გამორჩეული ინსტრუმენტული პიესა.

ბარკაროლა — 1. ვენეციელი შენაევების—გონდოლიერების სიმღერა. 2. ვოკალური ან ინსტრუმენტული (ჩვეულებრივ საფორტეპიანო) ნაწარმოებები მღერადი, ლირიკული მელოდიითა და დამახასიათებელი თანხლებით, რომელიც არც თუ იშვიათად ტალღების ხმაურის, ნავის რწყვის იმიტაციას წარმოადგენს.

ბოლერო — 1. ძველებური ესპანური ხალხური ცეკვა. 2. ზოგჯერ — მუსიკალური ნაწარმოების სახელწოდება, მაგალითად, შოპენის „ბოლერო“ ფორტეპიანოსათვის და რაფელისა — სიმფონიური ორკესტრისათვის.

ვარიაციები — ნაწარმოები, რომელიც შედგება თემისა (მუსიკალური აზრისა) და რიგი მისი სახეცვლილი განმეორებებისაგან. საწყისი თემის ახლებურად გამოვლენების გზით ვარიაციები ამდიდრებენ და ავითარებენ მუსიკალური სახის სხვადასხვა მხარეს.

ვოკალური მუსიკა — მხით შესასრულებელი ხასიმღერო მუსიკა ინსტრუმენტული თანხლებით ან უმისოდ: სხვადასხვა სიმღერები, რომანსები, არიები, საგუნდო ნაწარმოებები და სხვ.

ვიტუდი — 1. სავარჯიშო მუსიკალური პიესა, რომელიც ავითარებს დაკრის ტექნიკის რომელიმე ელემენტს. 2. დიდი მხატვრული მნიშვნელობის საჯაროდ შესასრულებელი ტექნიკურად რთული ინსტრუმენტული პიესა.

კავატინა — 1. საოპერო არიის ერთერთი ნაირსახეობა, უპირატესად ლირიკულ-თხრობითი ხასიათისა. 2. ზოგჯერ — მღერადი მელოდიით გამორჩეული პატარა ინსტრუმენტული პიესა.

კამერული მუსიკა — ინსტრუმენტული ან ვოკალური მუსიკა, რომელსაც ასრულებს ერთი ან რამდენიმე სოლისტი, კამერული მუსიკის მთავარი ფანრია რომანსი, ტრიო, კვარტეტი. საოპერო და სიმფონიურ მუსიკასთან შედარებით, კამერული უფრო ინტიმური ფანრია.

კანტატა — საზეიმო ან ლირიკულ-ეპიკური ნაწარმოები მომღერალი-სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის, რომელიც შედგება რიგი დამთავრებული ნომრებისა ან თა განუყოფელია საონკერო დარბაზში შესასრულებლად.

კაპელა — 1. საეკლესიო მგალობელთა გუნდი: შემდეგში — საზოგადო გუნდი. შუა საუკუნეებში კაპელის სიმოლო და სიმოლო მომღერალითაგან შეუგებოდა აქედანა ტერმინი — კაპელა, ე. ი. საგუნდო შესრულება ინსტრუმენტული თანხლების გარეშე. მუსიკის განვითარების კვალობაზე კაპელაში თანდათან გაერთიანდა მომღერლები და ინსტრუმენტისტები. 2. დიდი გუნდი, რომელსაც შეუძლია რთული მუსიკალური ნაწარმოებების შესრულება დამოუკიდებლად ან ორკესტრის თანხლებით.